პროგრამის სახელწოდება

თავისუფალი მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- სტუდენტს მისცეს კლასიკური საბაზო უმაღლესი განათლება თავისუფალი მეცნიერებების პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს სტუდენტის ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას და დაეხმაროს სტუდენტს გაიფართოოს თვალსაწიერი.
- მოამზადოს სტუდენტი მენტალურად და უნარ-ჩვევებით სწრაფად ცვალებადი საზოგადოებრივი და ეკონომიკური გარემოებებისთვის, შრომითი ბაზრისთვის, ინდივიდუალური, ჯგუფური და პროფესიული კვალიფიციური საქმიანობისთვის.
- სტუდენტს განუვითაროს კლასიკური ფილოლოგიისა და მედიევისტიკის, სახვითი და პერფორმატიული [საშემსრულებლო] ხელოვნებების მეცნიერული კვლევისთვის აუცილებელი საბაზო უნარ-ჩვევები და ცოდნა და მოამზადოს შემდეგ აკადემიურ საფეხურზე, მაგისტრატურაში აკადემიური კვლევისთვის.

პროგრამის აღწერა

თავისუფალი მეცნიერებების ისტორიული მიმოხილვა

თავისუფალი მეცნიერებების პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ განათლებას [liberal education/arts]. თავისუფალი განათლება გულისხმობს კლასიკურ, ტრადიციულ და შემოქმედებით აღზრდა-განათლებას, აგრეთვე, არა იმდენად ერუდიციის, არა იმდენად ვიწროსპეციალურ მომზადების პედალიზირებას, არამედ, უპირატესად

ინტელექტუალური და შემოქმედებითი - სიტყვიერების, ვიზუალური, გეომეტრიული, არტისტული უნარების **ინტეგრირებულ** განვითარებას.

ანტიკურობიდან დღევანდელობამდე ძალიან დიდი მნიშვნელობა ექცეოდა განათლებას, როგორც პოლიტიკური თეორიის, ისე ეთიკური და ინდივიდუალური-პიროვნული განვითარების კონტექსტშიც. ჩვენი ამოცანაა იმის განმარტება, თუ რა არის თავისუფალი განათლება არსებითად და, აგრეთვე, იმის დასაბუთებაც თუ რატომაა და რა თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი ამგვარი განათლება არა მხოლოდ ბაზრის ან სტუდენტის პრაგმატული ინტერესებისთვის, არამედ სტუდენტის თვითრეალიზაციისა და საქართველოს კულტურის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაც.

მრავალმხრივი, ინტეგრირებული, ჰარმონიული აღზრდა-განათლების საკითხი აღელვებდათ ჯერ კიდევ ბერძნებს, კერძოდ, როგორ და, რაც მთავარია, **რ ა ტ ო მ** არის საჭირო კულტურული, გემოვნებიანი და ქველი ადამიანის [ბერძნულად - *πεπαιδευμένος*] აღზრდა როგორც თავად ინდივიდისთვის, ისე საზოგადოებისთვის, - როგორც პრივატული ცხოვრებისთვის, ისე საჯარო და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის. არასპეციალიზირებული, ფართო თვალსაწიერით, კულტურული, გემოვნებიანი და ქველი მოქალაქის აღზრდა-განათლების სისტემა, *παιδεία*-ს სახელწოდებით იყო ცნობილი ძველ ბერძნებთან. განსაკუთრებით პლატონი [*პოლიტეიას*] და არისტოტელე [*პოლიტიკონში*] ვრცლად ბჭობდნენ ამ საკითხებზე. აღზრდა-განათლების შესახებ მათი შეხედულების თანახმად, ამგვარი, არავიწროსპეციალური, ფართო და ინტეგრირებული აღზრდა-განათლების პროგრამა შედგება სიტყვიერ-მათემატიკურ-მუსიკალურ-ვიზუალური უნარების განვითარების სისტემისაგან. ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას, როგორც ადამიანური მოღვაწეობისა და შემოქმედების მომცველ უნივერსალურ სისტემას. მართლაც, სიტყვიერ-ლინგვისტური, ვიზუალურ-სივრცითი, მათემატიკურ-ლოგიკური და მუსიკალურ-აკუსტიკური უნარები აუცილებელია ადამიანის ნებისმიერი სრულფასოვანი საქმიანობისა ან შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის და მით უფრო, თუ საქმიანობა არა ერთია, არამედ რამდენიმე.

ეს ტრადიციული განათლების პროგრამა, განათლების ღერძია, როგორც ევროპული შუა საუკუნეების უნივერსიტეტებსა და ახალი დროის გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებისთვის, ისევე აშშ-ში კოლეჯებისთვისაც, “liberal arts” სახელწოდებით.

ისევე, როგორც შუა საუკუნეებში, დღესაც აშშ-ში liberal arts გულისხმობს ადამიანის მრავალმხრივ, ინტეგრირებულ, ჰარმონიულ განვითარებას. თუმცა, დღევანდელი სწრაფად ცვალებადი სამყაროსა და მოულოდნელი პრობლემების სიმრავლის გათვალისწინებით, ყურადღება მახვილდება პრობლემებთან შემჭიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზეც, რომელიც, მართალია, ანტიკური და შუა საუკუნეების artes liberales კონცეფციაში არ იკითხება, მაგრამ უთუოდ შეგვიძლია გავიზიაროთ როგორც ამ

საგანმანათლებლო კონცეფციიდან უშუალოდ გამომდინარე მოდელად, მით უფრო რომ აშშ-ის liberal arts თანამედროვე კონცეფცია სწორედ პრობლემებთან შემჭიდებელ პიროვნებად აღზრდა-განათლებას ისახავს მიზნად.

პრობლემებთან შეჭიდებისა და მათი გადაწყვეტის უნართან დაკავშირებით, გამოვყოფდით შემდეგ ოთხ ასპექტს: 1) სინამდვილის სანდო აღწერა და შეფასება [როგორც ამას მეცნიერი აკეთებს დაკვირვებისას, ან ექსპერიმენტის ჩატარებისას]; 2) სინამდვილის გათვალისწინებით გარკვეული მოდელის წარმოსახვაში კონსტრუირება [როგორც, მაგალითად, არქიტექტორი წარმოისახავს პროექტირებისას]; 3) წარმოსახული პროექტის განხორციელების გზების და მეთოდების (ალგორითმის) წარმოსახვა, მოფიქრება, დამუშავება და კრიტიკულად შეფასება და 4) წარმოსახული პროექტის განხორციელება, რაც გულისხმობს განსხვავებული ხასიათის, პროფესიისა და კომპეტენციის ადამიანებთან ურთიერთობასა და მათ ხელმძღვანელობას.

შესაბამისად, მოყვანილ ნაწილში პრობლემებთან შეჭიდებასა და გადაწყვეტის პროცესის აღწერა და, სხვათა შორის, ჰარმონიული და ინტეგრირებული აღზრდა-განათლების სისტემებიც დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით გვარწმუნებს, რომ მათი სრულყოფილებისათვის ჩამოთვლილი ოთხი კლასიკური ელემენტი საკმარისი არ არის. მიგვაჩნია, რომ ამ ოთხი ელემენტისთვის კიდევ ორის, კერძოდ - 1) სომატურ-კინესთეტიკურ-ტაქტილური უნარის, რაც გულისხმობს სასცენო ხელოვნებებს [სამსახიობო ოსტატობა, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, ცეკვა], 2) ეპისტემოლოგია/სამეცნიერო კვლევის [ამ შემთხვევაში იგულისხმება ჰუმანიტარული მეცნიერებების ა) რაობა, ბ) მეთოდი, გ) კვლევის საგანი] დამატებაა საჭირო.

სომატურ-კინესთეტიკურ-ტაქტილური უნარები მნიშვნელოვანია როგორც ჰარმონიული აღზრდისთვის, ისე პრობლემებთან შეჭიდებასა და გადაწყვეტისთვის: ძალიან მნიშვნელოვანია სხეულის პლასტიკის, ჟესტის ხელოვნების, ხმის ფლობა, აფექტების კონტროლი როგორც სხვადასხვა დისციპლინის დასასწავლად, მაგალითად უცხო ენების.

შესაბამისად, liberal arts ტრადიციულ 4 ელემენტს - ა) სიტყვიერების, ბ) მათემატიკურ-ლოგიკური, გ) ვიზუალური და დ) მუსიკალური ხელოვნების ინტეგრირებულად სწავლების კლასიკურ სისტემას, ემატება კიდევ ორი ელემენტი, კერძოდ - ე) სამსახიობო და ვ) ეპისტემოლოგიური.

ამგვარი განათლების, ერთდროულად უპირატესობაც და სირთულეც, ამ 6 მიმართულების ცალ-ცალკე სწავლებაცაა და ურთიერთგამოყენება-ინტეგრირებაც.

აგრეთვე, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა თავისუფალი განათლების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი.

ა. ქართველი ეროვნული მოღვაწეები და ეროვნული გამოფხიზლება

საგულისხმოა, რომ მე-19-ე საუკუნესა და მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ეროვნულ და კულტურის მოღვაწეებს - გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს, ივანე ჯავახიშვილს, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო მარს, კოლაუ ნადირაძეს, დიმიტრი უზნაძეს, შალვა ნუცუბიძეს, დავით კაკაბაძეს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს და სხვა, კლასიკური განათლება ჰქონდათ მიღებული. კერძოდ, მათ გიმნაზიებში ასწავლიდნენ კლასიკურ ენებს, ხატვას, ხაზვას, მათემატიკურ დისციპლინებს, სიტყვიერებას და სასცენო ოსტატობას [გ. ერისთავის „გაყრა“ პირველად გიმნაზიის სცენაზე გიმნაზისტების მიერ დაიდგა და გათამაშდა]. ჩვენი პროგრამა ღერძად სწორედ ამგვარ განათლებას მიიჩნევს.

ბ. ევროპული კულტურა

ლათინური სიძველეების მცოდნის, V საუკუნის ერუდიტ-იურისტის, მარტიანუს კაპელას დიდაქტიკური ალეგორია - „მერკურიუსის და ფილოლოგიის ქორწინება” ის ტრაქტატია, რომელმაც წარმართული ანტიკურობის იდეა „თავისუფალ განათლებაზე” გადასცა ქრისტიანულ ევროპას. ამბავი უკვდავი ღმერთის, მერკურიუსის და მოკვდავი ქალწულ ფილოლოგიის ქორწინებაზე, რომელსაც ღმერთები მერკურიუსისადმი თანაგრძნობის გამო, უკვდავებას და ძვირფას „მზითვებსაც” - შვიდ თავისუფალ ხელოვნებას უბოძებენ, შუა საუკუნეებისთვის ნიშნეული ალეგორიებით ნატიფ თამაშში წარმოგვიდგენს იმას თუ რა ცოდნაა ყველაზე ღირებული ადამიანისთვის, რომელსაც მეტაფორულად თუ ვიტყვით, მხოლოდ უკვდავი ღმერთები თუ უბოძებენ მოკვდავთ. კაროლინგების საგანმანათლებლო რენესანსიდან [VIII საუკუნის დასასრულიდან IX საუკუნის შუამდე] შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში შვიდი თავისუფალი ხელოვნება - სიტყვიერებისა და მათემატიკური ხელოვნებებისა და დისციპლინების ნაზავი ერთადერთი ჭეშმარიტი განათლებაა.

რენესანსის ეპოქის [დაახლოებით 1450-1600] განათლების იდეალია *homo universalis* [uomo universale], უნივერსალური ადამიანი, რომელსაც შვიდი თავისუფალი ხელოვნების ცოდნასთან ერთად, უნდა შესძლებოდა ხატვაც, ლექსის შეთხზვაც, ჰქონოდა მუსიკალურ და დრამატულ საშემსრულებლო ხელოვნებაში პრაქტიკული უნარები და, აგრეთვე, ყოფილიყო მეომარი, ათლეტი, მხედარი და ჩინებული მოფარიკავე. ამასთან, ეს ყველაფერი დახვეწილად და თითქოს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უნდა გამოსვლოდა [spezzatura].

ევროპული კულტურა და განათლება მე-18-ე საუკუნის ბოლომდე და ნაწილობრივ - მე-20 საუკუნის დასაწყისამდეც კი, ეფუძნება სიტყვიერებისა და მათემატიკური დისციპლინების ნაზავს, გამდიდრებულს სახვითი და მუსიკალურ-დრამატული ხელოვნებებით.

განათლებისა და აღზრდის ეს იდეა -,,უზენაეს'' და ,,ღირებულ'' განათლებაზე, აგრეთვე, მის არსზე, როგორც სიტყვიერების, მათემატიკური, სახვითი და დრამატულ-მუსიკალური დისციპლინების ინტეგრირებულ ნაზავზე, დღესაც მნიშვნელოვანი და საკმაოდ პოპულარულიც კია აშშ-ში.

<u>გ. ამერიკული წარმატება</u>

თუმცა ამ პროგრამის შემუშავებისას არ დავჯერდით მხოლოდ წარსულს და ტრადიციას. ამ პროგრამის შემუშავებისას დავეყრდენით აშშ-ის თანამედროვე გამოცდილებას, კერძოდ liberal arts სხვადასხვა კოლეჯების სასწავლო პროგრამებსა და კონცეფციებს და, აგრეთვე, იმის დასტურად, რომ ამგვარი განათლება დღესაც წარმატების მომტანია, როგორც პიროვნებისთვის ისე - ქვეყნისთვის, შევისწავლეთ აშშ-ში იმ წარმატებულ პირთა სიაც, ვინც ამგვარი განათლება მიიღეს.

შესაბამისად, ისტორიული და თანამედროვეობის კონტექსტის გათვალისწინებით, შემოთავაზებული განათლების პროექტი ეფუძნება ა) ანტიკურ და ევროპულ კულტურას, ბ) ქართველი ეროვნული მოღვაწეების ტრადიციულ აღზრდასა და განათლებას და გ) თანამედროვე ამერიკულ წარმატებას.

თავისუფალი მეცნიერებების პროგრამა მოიცავს:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი სპეციალობის საგნების გარდა, ზოგად საუნივერსიტეტო საგნებსაც გადის, როგორიცაა: ფილოსოფია, ლიტერატურა და ხელოვნება, ეკონომიკის საფუძვლები, ანთროპოლოგია, თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, მსოფლიო ისტორია და საქართველო, ქართული ენა და ქართველები, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ბუნებისმეტყველება, საყოველთაო მათემატიკა, ინგლისური ენა, საველე პრაქტიკა. ეს მიდგომა ხელს უწყობს ზოგადი განათლების დონის ამაღლებას და ინტერესთა სფეროს გაფართოებას.

საბაზო განათლება - პროგრამა მოიცავს მიმართულების საბაზო განათლების ისეთ საგნებს როგორებიცაა: რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნება, კითხვის სემინარები, არქიტექტურის ისტორია და საფუძვლები, მე-19 საუკუნის ფრანგული რომანი, კლასიკური ენების საფუძვლები, შესავალი ვიზუალურ ხელოვნებაში, რეტორიკული

სავარჯიშოები: პროგიმნასმატა, შესავალი საგანთა ციკლებში "პერფორმანსი და მეტყველება" და "ვიზუალურ და სივრცითი" აზროვნება.

ძირითადი (თავისუფალი მეცნიერებების) განათლება - პროგრამა მოიცავს ფართო კლასიკური განათლებისა და სხვადასხვა უნარების გამოსავლენად და გასავითარებლად შემდეგი 4 მიმართულების საკითხებს:

- ვიზუალური დისციპლინა: ა) აკადემიური ხატვა, ბ) არქიტექტურული პროექტირება და მაკეტირება, გ) ქანდაკება, დ) მხაზველობითი გეომეტრია, გეგმილური ხაზვა, პერქსპექტივა და ჩრდილების აგება, აგრეთვე ევკლიდეს გეომეტრია.
- პერფორმატიული ხელოვნება: ა) სამსახიობო ოსტატობის ელემენტები, ბ) სასცენო მეტყველება, გ) საჯარო გამოსვლები, დ) სურვილის შემთხვევაში, დადგმა და სასცენო ხელოვნება.
- კლასიკური სიტყვიერებისა და ფილოლოგიის დისციპლინები: ა) კლასიკური რეტორიკა, ბ) ლათინური და ძველი ბერძნული ენები, გ) დრამის თეორია და ლექსთწყობა [მეტრიკა], დ) ანტიკური და შუასაუკუნეების პირველადი წყაროებისა და მეორადი ლიტერატურის ფილოლოგიურ-კრიტიკული კითხვა.
- აკადემიური კვლევა ჰუმანიტარიის, ხელოვნების, მედიევისტიკისა და ინტერდისციპლინური მიმართულებით.

არჩევითი საგნები - არჩევითი საგნების კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს საკუთარი ინტერესების მიხედვით შეარჩიონ საგნები როგორც პროგრამის მიერ შემუშავებული ისე უნივერსიტეტის ნებისმიერ სხვა პროგრამაში შემავალი საგანთა ჩამონათვალიდან.

პროგრამა ისწავლება ინტერაქტიული მეთოდით ხსენებული 4 მიმართულების საგნების ერთმანეთთან მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და ახალი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე.

დასაქმების სფეროები

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ შემდეგი მიმართულებით:

- სახელოვნებო ცენტრები
- ვიზუალური ხელოვნება
- მედია
- სარეკლამო ინდუსტრია, მათ შორის კომუნიკაციის დიზაინი
- ინტერიერის დიზაინი
- კინო და ტელე-ინდუსტრია

ამასთან, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, შეასრულოს საკონსულტაციო და შემოქმედებითი (კრეატიული) მენეჯერის ფუნქციები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და

მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.

2. ესმის თავისუფალი განათლების ბუნება, როგორც ისტორიული, კლასიკური (artes liberales παιδεία ἐλευθερία) მნიშვნელობით, ისე თანამედროვე კონტექსტში, იცის მისი სფეროები - თავისუფალი მეცნიერებები (ჰუმანიტარული განათლება [ფილოლოგია, ენები, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებები, მედიევისტიკა, აკადემიური კვლევა ჰუმინატარიასა და ფილოლოგიაში] და გეომეტრიული [თეორიული და გამოყენებითი] დისციპლინები), მათი შესაძლებლობები, შეზღუდვები და გამოწვევები.

3. იცნობს ტრადიციული ხელოვნებისა და ჰუმანიტარიის შემოქმედებით, აგრეთვე, მედიევისტიკის, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარიის მეცნიერულ [აკადემიურ] გარემოს.

4. იცნობს და იყენებს ჰუმანიტარიის, ფილოლოგიისა და მედიევისტიკის აკადემიური კვლევის სტანდარტებს.

5. იყენებს ვიზუალურ, საშემსრულებლო ხელოვნებების და სიტყვიერების უნარებს როგორც შემოქმედებითი, ისე საქმიანი და პროფესიული მიზნებისთვის ჯგუფურად და ინდივიდუალურად.

6. ფლობს ხელოვნების და ლიტერატურული ქმნილებების შეფასების კრიტერიუმებს.

7. იცნობს სათანადო ტერმინოლოგიას და ნომენკლატურას და, აგრეთვე, კლასიკურ მიმდინარეობებს და დაკავშირებულ მეცნიერულ კონცეფციებს, თეორიებსა და ჰიპოთეზებს.

8. იცნობს საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, ხატვის, არქიტექტურული პროექტირების, გეგმილური ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის თეორიასა და პრინციპებს.

9. იცნობს ლათინური და ბერძნული ენების გრამატიკას, ანტიკურ მითოლოგიას, შეუძლია კლასიკური ენებიდან თარგმნა და ფლობს აკადემიურ ინგლისურს.

10. იცნობს კლასიკური რეტორიკის არგუმენტაციის თეორიას და სტილისტიკას, ლექსთწყობასა და კლასიკური დრამის [ტრაგედიის] თეორიას.

11. აკადემიური ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით გეგმავს საბაზო აკადემიურ კვლევას და ახორციელებს მას, აანალიზებს შედეგებს და აკადემიური ნორმების დაცვით წარმოადგენს კვლევის შედეგებს კვლევითი ნაშრომის სახით.

12. დამოუკიდებლად გეგმავს, აორგანიზებს, ახორციელებს და დემონსტრაციას უწევს მცირე მოცულობის პროექტს მის მიერ შერჩეულ სფეროში (მაგ: პერფორმატიულ ხელოვნებებში, სახვით ხელოვნებებში, არქიტექტურაში, ფილოლოგიაში, ლიტერატურასა და პოეზიაში).

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- დისკუსიები/დებატები
- დემონსტრირების მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- შემთხვევების შესწავლა
- პირველადი წყაროსა და მეორადი ლიტერატურის კრიტიკულ-ფილოლოგიური კვლევა

- ანალიტიკური მეთოდი
- როლური და სიტუაციური თამაშები
- პრაქტიკული და შემოქმედებითი მეცადინეობები
- ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორიცაა: ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, გამოცდა თეორიაში როგორც წერილობით, ისე ზეპირად, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- საბაზო განათლება
- ძირითადი განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.